„ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლა“

მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი

შპს „ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლაში“ მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. შპს „ბათუმის ქართულ-ამერიკულ სკოლაში“ (შემდეგში - სკოლა) მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები განსაზღვრავს სკოლაში ჩარიცხული/მობილობის წესით ჩარიცხული მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის საშუალებებს.
2. წესის შესრულება ემსახურება ბავშის საუკეთესო ინტერესებს და შესასრულებლად სავალდებულოა სკოლის პერსონალისა და მოსწავლის მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისათვის.

მუხლი 2. მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმი

1. მოსწავლის სასწავლო გარემოში ჰარმონიული ადაპტაციის მიზნით, სკოლა ცდილობს, შეისწავლოს და ინდივიდუალური მიდგომების განსაზღვრისას გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტორები:

ა) რა ინდივიდუალური თავისებურებები, ხასიათი და საჭიროებები აქვს მოსწავლეს, ხომ არ არის გამოკვეთილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება;

ბ) ჰყავს თუ არა მოსწავლეს და ან/და ძმა, მათი ასაკი;

გ) ჰყავს თუ არა მოსწავლეს ორივე მშობელი, ცხოვრობენ თუ არა ერთ ოჯახად. იმ შემთხვევაში, თუ მშობლები ცხოვრობენ ცალ-ცალკე, როგორი განრიგით აქვს კომუნიკაცია მეორე მშობელთან;

დ) მოსწავლის შესაძლებლობები სკოლის სასწავლო დატვირთვის ინტენსივობისა და საგანმანათლებლო პროგრამების სირთულესთან მიმართებით;

ე) მოსწავლის თვითშეფასება და სასკოლო გამოწვევებისთვის მზაობა;

ვ) ხომ არ აქვს მოსწავლეს ენობრივი ბარიერი ან ხომ არ არის განსხვავებული კულტურის წარმომადგენელი და ა.შ. სხვა ინდივიდუალური მახასიათებლები.

2. კლასის მრჩეველი არის მოსწავლის სკოლაში ადაპტაციის პროცესის მთავარი მხარდამჭერი, ახალისებს მოსწავლეებს შორის პოზიტიური კომუნიკაციის პროცესს.

3. ადაპტაციის პროცესში მნიშვნელოვანია მშობლის ჩართულობა. კლასის მრჩეველს აქვს რეგულარული კომუნიკაცია საჭიროების შემთხვევაში მშობელთან, იმისათვის, რომ დააზუსტოს, სახლში ყოფნის დროს ხომ არ შეიმჩნევა მოსწავლის ხასიათის ცვლილება; კლასის მრჩეველმა მშობელს უნდა აუხსნას, რას გულისხმობს

ადაპტაცია/დეზადაპტაცია, იმისათვის, რომ რაიმე სახის ნიშნების გამოვლენა არ დარჩეს ყურადღების მიღმა.
4. კლასის მრჩეველი ახალ მოსწავლეს აცნობს თანაკლასელებს და ასევე, ასეთის საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა საშუალებით ცდილობს, დაეხმაროს მოსწავლეებს ახალი მოსწავლის განსხვავებული კულტურის შესახებ ცნობადობის ამაღლებასა და პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში.
5. თუ მოსწავლე არ არის ქართულენოვანი და აქვს სირთულეები კომუნიკაციისას, გარდა იმისა, რომ სკოლა უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლებას, სკოლის დამრიგებელი ეხმარება მოსწავლეს პირველ ეტაპზე ელემენტარული საკომუნიკაციო ლექსიკის ჩამოყალიბებაში, რათა მოსწავლეს ჰქონდეს შესაძლებლობა, ურთიერთობა დაამყაროს თანაკლასელებთან.
6. დეზადაპტაციის ნიშნების დროს სკოლის ფსიქოლოგი უზრუნველყოფს მოსწავლის, მშობლის, კლასის მრჩევლის და სხვა მასწავლებლების კონსულტირებას, ასევე, საჭიროების შემთხვევაში გეგმავს მოსწავლეების ჩართულობით სხვადასხვა ჯგუფურ აქტივობას/მონაწილეობს აქტივობების დაგეგმვაში;
7. სასწავლო პროცესის დაწყებამდე, სასურველია, მშობელმა მოიყვანოს მოსწავლე სკოლაში. სკოლის წარმომადგენელი ათვალიერებინებს სკოლის ინფრასტრუქტურას, სასწავლო და სარეკრეაციო სივრცეებს, კვების ბლოკს, აცნობს სასწავლო განრიგს და აწვდის ინფორმაციას აუცილებელი ნივთების, სკოლის საერთო კულტურისა და საორგანიზაციო საკითხების შესახებ.

მუხლი 3. პირველკლასელი მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის საშუალებები

1. პირველკლასელთა მიღებამდე სკოლის დირექტორის მოადგილე და ფსიქოლოგი ახორციელებენ წინასწარ შეხვედრას მშობელთან და მოსწავლესთან, სკოლის რესურსებისა და საგანმანათლებლო სერვისების გაცნობის, მოსწავლის შესაძლებლობების, საჭიროებების და ინტერესების იდენტიფიცირების მიზნით.
2. სკოლასთან პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბების მიზნით, პირველკლასელი მოსწავლეებისათვის იგეგმება სხვადასხვა სახის ასაკის შესაბამისი თამაშები, სახალისო ღონისძიებები, რამაც ხელი უნდა შეუწყოს სკოლასთან პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას და თანაკლასელების დამეგობრებას.

მუხლი 4. მობილობის წესით ჩარიცხული მოსწავლის ადაპტაცია

1. კლასის მრჩეველი სწავლობს მობილობით გადმოსული მოსწავლის გამოცდილებას/საჭიროებებს და აცნობს მოსწავლეს მის ყველა მასწავლებელს, ასევე, არაფორმალური განათლების კოორდინატორს.
2. კლასის მრჩეველი აწყობს შეხვედრას მოსწავლესთან და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან და აცნობს მოსწავლის უფლებებსა და მოვალეობებს, სკოლაში საჩივრების განხილვის სისტემას, მოსწავლის ეთიკის კოდექსს და სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულ დისციპლინური წარმოების პორცედურას, სკოლას დონეზე ან/და კლასის ფარგლებში სასწავლო წლის მანძილზე დაგეგმილ პროექტებს შესახებ, რომელში ჩართვის საშუალებაც აქვს მოსწავლეს, სასკოლო კლუბებს/წრეებს და უსაფრთხოების წესებს სკოლაში.
3. მოსწავლის სკოლაში პირველ სასწავლო დღეს კლასის მრჩეველი უშუალოდ აცნობს კლასის სხვა მოსწავლეებს ახლადჩარიცხულ მოსწავლეს. კლასის მრჩეველი მუდმივ კომუნიკაციაშია მოსწავლესთან და მშობელთან და იგებს ინფორმაციას მოსწავლის განწყობისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ.

მუხლი 5. სსს. მოსწავლის ადაპტაცია

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლის წარმატებული ადაპტაციისათვის სკოლა ცდილობს, შეისწავლოს და გამოიყენოს ინფორმაცია ბავშვის ფუნქციური, სოციალურ-ემოციური, წინარე აკადემიური უნარების შესახებ. ასევე, სპეციალური მასწავლებელი, კლასის მრჩეველი და სკოლის ფსიქოლოგი, შესაძლებლობის ფარგლებში, უზრუნველყოფენ ბავშვის ინტერესების, ქცევის თავისებურებებისა და პიროვნული მახასიათებლების შესწავლას.
2. კლასის მრჩეველი და ფსიქოლოგი, ასევე, სპეციალური მასწავლებელი ეცნობიან მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნას, რომელშიც ასახულია ინფორმაცია ბავშვის საჭიროებების შესახებ და ასევე, მოცემულია მის საჭიროებებზე მორგებული რეკომენდაციები.
3. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს სჭირდება ინდივიდუალური ასისტენტი/ სპეციალური მასწავლებელი ან/და სხვა სპეციალისტები (ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები) და სკოლას შესაბამის დროს არ აქვს სათანადო რესურსი, სკოლა უზრუნველყოფს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის სამუშაოზე აყვანას, შესაძლებლობის ფარგლებში მოკლე ვადებში.
4. სკოლის ფსიქოლოგი მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს/წარმომადგენლებს აწვდის ამომწურავ ინფორმაციას სკოლის პერსონალისა და დამხმარე სერვისების შესახებ, რაც ემსახურება სსსმ მოსწავლის მხარდაჭერას.

მუხლი 6. მოსწავლის პირველი დღე სკოლაში

1. კლასის მრჩევლების და სკოლის ადმინისტრაციის ორგანიზებით სკოლაში სწავლის პირველი დღე (სასწავლო წლის დაწყება) აღინიშნება საზეიმო აქტივობით სკოლის ეზოში. სხვადასხვა სახალისო აქტივობის მოწყობით სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებს სასწავლო პროცესისა და სკოლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში. პირველკლასელ მოსწავლეებს სკოლისაგან გადაეცემათ სამახსოვრო საჩუქრები.

მუხლი 7. მოსწავლის ადაპტაციის შეფასება

1. კლასის მრჩეველი ინტენსიურად სწავლობს ახლადჩარიცხული მოსწავლის ადაპტაციას. სასურველი სურათია:

ა) მოსწავლე სკოლაში მიდის ხალისით, მშვიდი და მხიარულია და არ ცდილობს სკოლის გაცდენას (ამ მიზნით, კლასის მრჩეველი აკვირდება მოსწავლეს როგორც სასკოლო დროს, ასევე, კომუნიკაციას ამყარებს მშობელთან);

ბ) საუბრობს მასწავლებლებისა და თანაკლასელების შესახებ, დასვენებაზე თამაშობს კლასელებთან ერთად;

გ) კონცენტრირებულია, ასრულებს მასწავლებლების დავალებებს, ავლენს ცნობისმოყვარეობას, სვამს კითხვებს; საჭიროების შემთხვევაში, ადეკვატურად რეაგირებს მასწავლებლის/კლასის მრჩევლის შენიშვნებზე;

დ) ხალისით ერთვება სკოლის სხვადასხვა აქტივობაში, ადაპტირებულია სკოლის განრიგთან;

ე) საჭიროების შემთხვევაში, სკოლის პერსონალისაგან ითხოვს დახმარებას;

ვ) სკოლასთან, მასწავლებლებთან და თანაკლასელებთან თავისუფალი, მშვიდი და ხასიათის შესაბამისად ხალისიანია.

2. მნიშვნელოვანია, კლასის დამრიგებელს არ გამორჩეს ნიშნები, რაც შეიძლება მიუთითებდეს მოსწავლის დეზადაპტაციაზე:

ა) მოსწავლე დღის მანძილზე უხალისოა, ხშირად/სწრაფად იღლება;

ბ) მოსწავლე უჩივის თავის ან/და მუცლის ტკივილს, ნაკლებად სადილობს;

გ) მოსწავლე თავს არიდებს თანატოლებთან კონტაქტს, არ ამყარებს მეგობრულ ურთიერთობას, შეენიშნება შფოთვა;

დ) უჭირს სკოლაში დადგენილი მოთხოვნების/წესების დაცვა;

ე) ცდილობს თავი აარიდოს სკოლაში წასვლას ან ცდილობს გაეთავისუფლოს ადმინისტრაციას.

3. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს შეენიშნება ზემოთ ჩამოთვლილი დეზადაპტაციის ნიშნები, კლასის მრჩეველი კონსულტაციას გადის სკოლის ფსიქოლოგთან და

უზრუნველყოფს მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ჩართვას პროცესში.
4. სკოლის ფსიქოლოგი შეიმუშავებს რეკომენდაციებს მდგომარეობის მართვის მიზნით ოჯახისა და კლასის მრჩევლის, ასევე, სხვა მასწავლებლებისათვის, რაც სკოლის დონეზე შეიძლება უკავშირდებოდეს მოსწავლის განრიგის შემსუბუქებას, ისეთი აქტივობების დაგეგმვას, რაც მოსწავლეს თანაკლასელებთან დაახლოების საშუალებას მისცემს, პოზიტიური უკუკავშირის საკითხებს და სხვა. ხოლო მშობლისათვის - რეკომენდაციას მოსწავლის განრიგის შემსუბუქების, დასვენების დღეებში და არასასწავლო დროს - მოსწავლის საერთო განრიგის შემსუბუქებას, მოსწავლესთან კომუნიკაციას და ა.შ. ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, აგრეთვე, მოსწავლეს არ დაუქვეითდეს თვითშეფასება. ფსიქოლოგი ასევე, ინდივიდუალურად მუშაობს მოსწავლესთან, ასეთის საჭიროების შემთხვევაში.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

1. სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს წინამდებარე წესის გაცნობას სკოლაში დასაქმებული პერსონალისათვის, ასევე, სკოლაში ჩარიცხვისას მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლისათვის.
2. წესი მტკიცდება სკოლის დირექტორის ბრძანებით. ასეთივე წესით ხორციელდება მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა.